ახალი განთიადი

„შედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

29 მარტი - 11 აპრილი 2014 წელი №6 № 8064 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

დავით ონოფრიშვილი პერმანენტულად ხვდება მოსახლეობას გვ2.

ფრანგული სიმინდის თესლი უპროცენტო განვადებით გვ2.

დასრულდა სააკაძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია გვ3.

სოფელ ხოვლეში მისასვლელი გზის სამუშაოები გრძელდება გვ3.

გზის მოხრეშვა ზემო და ქვემო რენეში დამთავრდა გვ2.

კიდევ ერთი გამარჯვება გვ6.

ქართული მიწის მეხოტბე



“გვხვდებიან შეხვედრისც ჭკვიც”... გვ7.

რა განაჭირობებს ქართველების საკრალურ დამოკიდებულებას საკუთარი მიწისა და წარსულისადმი?!

ფიბერი, შემდგომში “ჭიბერი” ... გვ6.

ჯარგი შეფუთვა არ ნიშნავს მაღალ ხარისხს! გვ7.

80 წელია ჩვენი გაზეთი იწერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარჯს არ უხდის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელ მატიანეს...

ახალი განთიადი *80 წელი თქვენც გვიფლითო!*

გამოიწერეთ **„ახალი განთიადი„**!

ფრანგული სიმინდის თესლი უპროცენტო განვადებით

17 მარტს კომპანია "ასპრია სიიდს ჯორჯია"-ს დირექტორი ნანა გაბრავა შეხვდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებს. შეხვედრა შედგა ფრანგული სიმინდის თესლის უპროცენტო განვადების საკითხთან დაკავშირებით. ნანა გაბრავა რწმუნებულებს ესაუბრა სიმინდის ჯიშის თვისებებსა და მოყვანის კულტურაზე.

კომპანია "ასპრია სიიდს ჯორჯია" დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სიმინდის თესლს 296 ლარად 10 თვიანი უპროცენტო განვადებით, გირაოს გარეშე, 15 წუთში 7 000 ლარამდე სესხი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედოსგან. 7 000 დოლარამდე სესხი ვითიბი ბანკი ჯორჯიასაგან.

დაინტერესებული პირები დაუკავშირდით ტელეფონზე: 568 89 71 00; 571 11 53 56.
მისამართი: გორი, ცხინვალის გზატკეცილი, მესამე კილომეტრი. აგროგეო + მაღაზიები.

დავით ონოფრიშვილი პერმანენტულად ხვდება მოსახლეობას

საქართველოს პარლამენტის კასპის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ონოფრიშვილი პერმანენტულად ხვდება მოსახლეობას. საპარლამენტო ბიუროში ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა შედგა 14 მარტს.

დეპუტატი დავით ონოფრიშვილი შეხვდა კასპის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, რომლებმაც განცხადებით მიმართეს საპარლამენტო ბიუროს სხვადასხვა პრობლემების მოგვარების თხოვნით.

პრობლემები უმეტესად შეეხება ჯანდაცვას, სოფლის სარწყავი და სასმელი წყლის რეაბილიტაციას, გზების მოხრეშვა-მოპირკეთების საკითხს.

14 მარტს დავით ონოფრიშვილს შეხვდნენ მოქალაქეები ოკმიდან, ფერმიდან, ახალქალაქიდან, ნიაბიდან, ქალაქ კასპიდან. ასეთი შეხვედრები ხშირად იმართება.

მოულოდნელი, აუხსნელი

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი,,. საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ ,,ფენომენს,, და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

გზის მოხრეშვა ზემო და ქვემო რენეში დამთავრდა

სოფელ ზემო და ქვემო რენეში შიდა საუბნო გზების წერტილოვანი და ნაწილობრივი მოხრეშვითი სამუშაოები დამთავრდა.

პროექტი ითვალისწინებდა ორივე სოფელში არსებული დაზიანებული გრუნტის საფარის მოხსნას და გატანას, სავალ ნაწილზე ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის დაყრა - დატკეპნას და მასზე ფრაქციული ღორღის დაყრას და დატკეპნას, გზის ნაპირზე გრუნტის კუვეიტის გაჭრას.

პროექტი დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სამუშაოები შპს "კასპის კეთილმოწყობა"-მ (დირექტორი ე. გეჯაძე) ჩაატარა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

სოფელ ხოვლეში მისასვლელი გზის სამუშაოები გრძელდება



სოფელ ხოვლეში მისასვლელი გზა წლების განმავლობაში ძალიან დაზიანდა, მისი აღდგენა კი ამ დრომდე ვერ მოხერხდა. საქართველოს მთავრობამ სოფელ ხოვლეში მისასვლელი გზის სრული რეაბილიტაციისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხა გამოყო.

ჩვენი მიზანია გზის სამუშაოები პროექტის ფარგლებში ხარისხიანად შევასრულოთ, მოსახლეობას და ავტოტრანსპორტს უსაფრთხო მოძრაობის საშუალება მივცეთ - აღნიშნა შპს "ბილდ ინდუსტრი"- ს წარმომადგენელმა ხვიჩა ჟვანიამ.

დასრულდა სააკაძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია

ქალაქ კასპში დასრულდა გიორგი სააკაძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია. ქუჩაზე დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო გარეგანათების ბოძები, დაირგო ხეები, დაიდგა ნარჩენების გალვანიზირებული ახალი ურნები, ასევე მცირე ზომის ნარჩენის ურნები, რომლებიც გარეგანათების ბოძებზე განთავსდა.

ქუჩაზე, თერმოპლასტის ღამის მანათობელი საღებავით - სამ ზოლად მოეწყო საგზაო მონიშვნის ხაზები. მუნიციპალიტეტში მანათობელ ზოლებიანი მონიშვნის ხაზები პირველად მოეწყო.



მგზავრებისა და ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, ქუჩაზე მოეწყობა სიჩქარის შემანელებელი ბორცვები.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საერთაშორისო ტურნირი - ჭიდაობა ძიუდოში

მიმდინარე წლის 14 და 17 მარტს, ქალაქ ზუგდიდში კოლხეთის თასზე გაიმართა საერთაშორისო ტურნირი - ჭიდაობა ძიუდოში.

ტურნირში მონაწილეობდა კასპის მუნიციპალიტეტის ძიუდოს ნაკრები გუნდი (1996 -1997 - 1998 - 1999 წწ). 28 მოასპარეზე გუნდს შორის კასპელებმა (გუნდის მწვრთნელი ნუგზარ მამულაშვილი) წარმატებით იასპარეზეს და გუნდური მესამე ადგილი მოიპოვეს. პირად პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავეს და ჩემპიონები გახდნენ ჯაბა პაპინაშვილი და გიორგი გაბინაშვილი. მეორე ადგილზე გავიდნენ გიორგი კაციაშვილი და ბონდო ბულბულაშვილი, ხოლო მესამეზე პაატა მალაციძე.

კულტურა

ფესტივალი

"გაზაფხულის ზეიმი _ 2014"

2014 წლის 16 მარტს კასპის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრში ჩატარდა ფესტივალი "გაზაფხულის ზეიმი – 2014".

ფესტივალში მონაწილეობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლები: "ქორეოლოგია" /ქორეოგრაფი ხათუნა გაგაძე/, "დიდგორი" /ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, ქორეოგრაფები: მარინა რუსიშვილი, დარინა პაპაშვილი და სოსო ღვინიაშვილი/, "რკონი" /ქორეოგრაფები: მაკა დათაშვილი, ნუკრი საბიაშვილი/, "იმედი" /ქორეოგრაფი ინგა თაბუკაშვილი, რეპეტიტორი ვიტალი კანდელაკი/, "მეტეხი" /ქორეოგრაფი ცისანა დარჩიაშვილი/, "სხვილო" /ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი/, "გორგასალი" /ქორეოგრაფი იზაბელა თაბუკაშვილი/. ქორეოგრაფიული ანსამბლები მაყურებლის წინაშე წარდგნენ ახალი ცეკვებით.

განახლებულმა საკონცერტო პროგრამამ მოწონება დაიმსახურა. დამსწრეთა კომენტარით განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია "დიდგორის" გამოსვლამ, რომელმაც ყველაზე სკეპტიკური მაყურებლებიც კი მოხიბლა.

კონცერტის ბოლოს ფესტივალის მონაწილე ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს გადაეცათ სახელობითი დიპლომი. ფესტივალის წამყვანმა ნუნუკა სუსუნიაშვილმა მოცეკვავე ქალბატონები ყვავილების თაიგულებით დააჯილდოვა.

გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?

გ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ეროსკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

გ ი ნ დ ა თ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

არჩიე ერთ-ერთი სპეციალობაცია და ისწავლე უფასოდ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ორგანიზებით ამ დღეებში კასპის მუნიციპალიტეტის მეორე საჯარო სკოლის კომპიუტერული ცენტრის კაბინეტში გაიმართა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გამოსაშვები კლასების მოსწავლეები, სკოლების დირექტორები და პედაგოგები, მშობლები, მოწვეული სტუმრები...

რამდენიმესაათიან შეხვედრაზე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეებს, ფიზიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ზედმიწევნით, გასაგებად აუხსნეს, თუ რა სპეციალობები ისწავლება ფიზიკის დეპარტამენტში, განუმარტეს სწავლების მეთოდები, რომელიც დამყარებულია უმაღლესი ტექნოლოგიების გათვალისწინებით.

ახალგაზრდები, რომლებიც გადაწყვეტენ და ჩააბარებენ ტექნიკურ უნივერსიტეტში (ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი) საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მათ უფასო მომზადებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ფიზიკასა და უნარ-ჩვევებში. სწორი პროფესიული ორიენტაციის არჩევაში დეპარტამენტი ატარებს ღია კარის დღეებს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საინჟინრო და საბუნებისმეტყველო დარგები (სპეციალობები) პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილება. შესაბამისად, ამ სპეციალობებზე (მათ რიცხვშია საინჟინრო ფიზიკის სპეციალობებიც) სწავლა სრულ სახელმწიფო დაფინანსებას ექვემდებარება.

სტუდენტებისათვის კი, ფიზიკის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განათლების მიღებას, თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის აღზრდას. დეპარტამენტში ფუნქციონირებს ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფიზიკის მრავალპროფილიანი ლაბორატორია, სადაც იგეგმება, სრულდება, ინერგება გამოყენებითი ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო სამუშაოები. ბაკალავრიატის მაღალ კურსებზე, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში ფიზიკის დეპარტამენტის სტუდენტები

საზღვარგარეთის ქვეყნებში სხვადასხვა გაცვლით პროგრამებშიც მონაწილეობენ. ყოველწლიურად ფიზიკის დეპარტამენტში სტუდენტებისათვის ტარდება "შემოდგომის ლექციები თბილისში". ორი კვირის განმავლობაში ლექცია-სემინარებს ატარებენ ბონის, კიოლნის, დიუსელდორფის უნივერსიტეტებისა და იულიხის სამეცნიერო ცენტრ "foshungszetrum"-ის წამყვანი პროფესორები. ისინი, აგრეთვე, ატარებენ 20 დღიან საზაფხულო სკოლას თბილისსა და ბათუმში. ფიზიკის დეპარტამენტის 6 სტუდენტი ჩართულია იულიხის ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო სამუშაოებში და საშუალება ეძლევათ იქვე გააგრძელონ სწავლა მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. დეპარტამენტის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ და წარმატებით იმუშაონ მრავალი განხრით, ისიც ხომ ცნობილია, რომ დღეს ინჟინრებზე, მენეჯერებზე, მოთხოვნა განუზომლად მაღალია...

აი, ამ და კიდევ სხვა თემებზე ისაუბრეს შეხვედრაზე სიტყვით გამოსულმა ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორებმა, ფიზიკის დეპარტამენტის უფროსმა პროფესორმა აკაკი გიგინეიშვილმა, ლაბორატორიის გამგემ ლევან მაცაბერიძემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამაზ მინაშვილმა, ვირტუალური მოდელირებისა და კონსტრუირების პროფესორმა დავით სონღულაშვილმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ირაკლი სირანაშვილმა. სტუმრებმა ამომწურავი პასუხები გასცეს მოსწავლეების მიერ დასმულ მრავალ კითხვას.

2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლეა გათვალისწინებული

უცხოური ენის გამოცდაში ტესტს დაემატა მოსმენის დავალება. მოსმენის დავალება შედგება 4 დიალოგისა და 4 ტექსტისაგან. თითოეულ საკითხს ახლავს მხოლოდ ერთი შეკითხვა. მოსმენის დავალების მთლიანი ხანგრძლივობა დაახლოებით 8-10 წუთია. მოსმენის დროს აბიტურიენტებს არ დასჭირდებათ ყურსასმენები. სექტორში 15-ვე აბიტურიენტი შეასრულებს ერთსა და იმავე დავალებას, რომელსაც ხმის გამაძლიერებლის საშუალებით მოისმენს. ამ დავალების მაქსიმალური შეფასებაა 8 ქულა.

შესაბამისად გაიზარდა უცხოური ენის საგამოცდო დრო. ტესტის შესასრულებლად აბიტურიენტებს ეძლევათ 2 საათი და 30 წუთი.

ასევე, ამავე ტესტში აღარ არის 2-ქულიანი საკითხები. ყველა დავალება, წერის დავალებების გარდა, არის 1-ქულიანი. ტესტის მაქსიმალური ქულაა 100.

უცხოური ენის ტესტს დაემატა წერითი დავალება. აბიტურიენტს მოეთხოვება წაიკითხოს წერილი ან განცხადება და პასუხად მოკლე წერილი დაწეროს. ინგლისური ენის ტესტში მოხდა ცვლილება. მე-3 დავალება (სათაურების მისადაგება) განახლებული ფორმით არის წარმოდგენილი. აბიტურიენტს მოეთხოვება წაიკითხოს ტექსტი, კითხვები და მიუთითოს ტექსტის ის აბზაცი, რომელშიც ამ კითხვებზე პასუხია მოცემული.

2014 წლიდან არჩევით საგნებს ემატება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. თუ უმაღლესი სასწავლებელი ხელოვნების ამ გამოცდას რომელიმე პროგრამაზე ჩასარიცხად სავალდებულოდ გამოაცხადებს (მხოლოდ ერთ არჩევით გამოცდას მიუთითებს), აბიტურიენტი ვალდებულია არჩევით საგნად მიუთითოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

გამოცდის მაქსიმალური დრო 3 საათი და 30 წუთი, ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადასალახად აბიტურიენტმა უნდა მიიღოს 18 ქულა (25%-ზე მეტი).

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზღვრის გადალახვის ახალი მიდგომის პროექტი შემუშავდა.

აბიტურიენტთა გამოვლენა, რომელთაც ზღვარი გადალახეს, სხვადასხვა ვარიანტში მიღებული ქულების გათანაბრების შემდეგ მოხდება. ამ ცვლილების შედეგად, გარდა იმ აბიტურიენტებისა, რომელთა მიერ მიღებული ნედლი ქულაც ზღვარს აღემატება. ზღვრის გადალახვის შანსს შეინარჩუნებენ ის აბიტურიენტებიც, რომლებიც შედარებით რთულ ვარიანტს შეასრულებენ და ზღვართან მიახლოებულ ნედლ ქულას მიიღებენ.

ტესტში, რომელიც მხოლოდ არჩევითი პასუხების მქონე დავალებებისაგან შედგება (მაგ., ზოგადი უნარები), მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ისე განისაზღვრება, რომ სწორი პასუხების შემთხვევითი გამოცნობით ზღვრის გადალახვის ალბათობა მინიმუმამდე დავიდეს.

ზოგადი უნარების გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაიზარდა 20 ქულიდან 23 ქულამდე – წინა წლებში კონკურსში მონაწილეობის გასაგრძელებლად აბიტურიენტს 21 ქულა მაინც უნდა მიეღო ზოგად უნარებში, 2014 წლიდან კი მან უნდა მიიღოს მინიმუმ 24 ან მასთან გათანაბრებული ქულა.

სახელმწიფო წელსაც დააფინანსებს ბაკალავრიატის გარკვეულ მიმართულებებს (შესაბამის პროგრამებზე ჩარიცხულები ისწავლიან უფასოდ). სასწავლებლების და მიმართულებების (პროგრამების) ნუსხა გამოქვეყნდება დამტკიცებისთანავე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!



ყეხურა

ძვირფასო პატარებო! ალბათ შეამჩნევდით, სულ ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სცალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და ალპებში "დამალულ" საგანძურზე...

წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმოწერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში "ყეხურა".

“ერთმა ბერმა გაბრიელ ბერს ჰკითხა:

_ მარხვა რა არის?

ეხლავე აგიხსნიო, უთხრა მამა გაბრიელმა და ჩამოუთვალა მას ბავშვობიდან ჩადენილი მისი ცოდვები. ყველა ცოდვა გაუხსენა: ეს რომ გააკეთე და ის რომ ჩაიდინეო. შემდგომში ამ ბერმა თქვა: - მე სირცხვილისაგან ჭღარ ვიცოდი რა მეთქვა. დავვარდი ტირილად და ალარაფერი მახსოვდა. იგი უცებ შეიცვალა, გაღიმებული სახე მიიღო და მითხრა: - მოდი, საჭმელი ჭამე და ერთად ყარგად მოვილხინოთო.

მე ვუთხარი, რომ არ შემეძლო, რადგან ძალიან ცუდად გავხდი. მაშინ ჯი მივიღე დასმულ კითხვაზე სრული პასუხი:

_ აი, ეს არის მარხვა _ როდესაც ცოდვების გამო სინანული გაქვს და საჭმელი არ გახსოვს”.

ემოხვრილი მამა გაბრიელის ჯადოგებილან

“რა არ ვეცადე, მაგრამ ვერანაირად ამოვხსენი მისი სახელი (ანტიქრისტესი)”. მამა გაბრიელი ამბობდა: “ახლა უკვე ბოლო ჟამია! როგორც გამზადებულ სადილს მცირე დრო სჭირდება წამოსადულებლად, ისეა მოახლოებული... რა არ ვეცადე, მაგრამ ვერანაირად ამოვხსენი მისი სახელი (ანტიქრისტესი). ღვთის წყალობით, უფლის ანგელოზი ვიხილე, გამომეცხადა და მითხრა: — ვერა კაცი ვერ ამოხსნის ამ საიდუმლოს; მოდი გაბრიელ მე დაგიწერ მის სახელს, — და ასე მაუწყა უფლის ანგელოზმა მისი სახელი... ეს კი, თქვენ არ გეხებათ — კაცთათვის ჯერ დაფარულია!

... იმისთვის მოდის, ვინც ელოდება. ნიშნის მიღებისას, ძალასაც არ გამოიყენებს ადამიანთა მიმართ — ყოველივე ნებით იქნება და აღსარება აღარ უშველის! გაფრთხილდით, ისეთი დრო მოდის, მიწას შეჭამთ! წმინდა წინასწარმეტყველების — ენუქისა ელიას ბრძოლას ანტიქრისტესთან ტელევიზიით გადასცემენ. ცოდვების გამო მიწისძვრები იქნება. საქართველოში ჯერ რუსის ტანკი შემოვა ხალხის გამოსაფხიზლებლად. საქართველოს ტერიტორიების გაყიდვას და დაკარგვას ღვთისმშობელი არავის აპატიებს. ყველა დაისჯება. ბოლოს თბილისის თავს ორი ნაცრისფერი ფრინველი დასტრიალებდა (ბომბდამშენი ხომ არ არის ნეტავ — კ.კ.). რუსთაველს არ გაეკაროთ ისეთი ამბავი იქნება... ფუნიკულიორზე რესტორანი რომ არის, მაგ შენობას ურევია იმ ეკლესიის ქვები, რომლებიც პარლამენტის შენობის ადგილას იდგა. სანამ ის ქვები თავის ადგილს არ დაუბრუნდება, არასდროს დაწყნარდება იქაურობა, სულ არეულობა იქნება. ის ქვები თავის ადგილს დაუბრუნდება. ვინც ამ არეულობაში და ომში მოჰყვება, მაგათთვის კარგია სულის ცხონებისათვის. ნუ შეგეშინდებათ, ღმერთი ყველგანაა, გული განიწმინდეთ და ისე ილოცეთ, დაგიფარავთ მაცხოვარი. სუსტებს ადრე გაიყვანს უფალი, ძლიერებს დატოვებს, ბოლო ჟამისათვის, რომ შეებრძოლონ ანტიქრისტეს საცდურებს. რომ იტყვიან უკვე, საქართველო აღარ არისო, აი მაშინ შეიწყალებს ღვთისმშობელი ჩვენს ქვეყანას და ისეთი სასწაული მოხდება, რომ მალე იქნება საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის. ვფიქრობდი, რა დაიმსახურა ეხლანდელმა ქართველმა ერმა ისეთი, რომ ამხელა ღვთის წყალობა გადმოედინება... ... გამოცხადება ვნახე... უფალი ვნახე, “საბაოთ”. ხელში გლობუსი ეჭირა, გლობუსზე კი დიდი ჯვარი იყო და იქიდან ხმა მოისმა: — ბოლო ჟამს, ადამიანებს სიმდაბლე, სიკეთე და სიყვარული გადაარჩენს! სიყვარული ცხოველია (ცოცხალია), რომელიც კეთილი საქმის გარეშე კვდება; სიყვარულია ის ერთადერთი ძალა, რომლითაც ადამიანი შესძლებს გაუძლოს ანტიქრისტეს საცდურებს, ჯოჯოხეთის ნახევარი უკვე დედამიწაზეა, ანტიქრისტე კარებთან დგას და შემოგლეჯვას ცდილობს. თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს. ანტიქრისტე მთელ დედამიწაზე გამეფდება და ყველგან იქნება დევნა. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ღვთისმშობელი დაიფარავს მას და ნაკლები დევნა იქნება. როდესაც გაგიჭირდებათ, ნუ შეგეშინდებათ, მე მოვალ და მოგეხმარებით. ოღონდ თქვენ ვერ დამინახავთ. ადრეც ეგონათ, რომ თითქოს ანტიქრისტე მოვიდა, მაგრამ ადრე არ იყო ნიშნები. ომები რომ იყო, ეს არ იყო ნიშანი. მაშინ არ იყო ციური სასწაულები და საყოველთაო განდგომა. განდგომა მწვალებლობის ტოლფასია. მალე მთელი მსოფლიო გაერთიანდება ანტიქრისტეს რიცხვით. ბოლო დროს ცაში ნუ დაუწყებთ ცქერას, რადგან ისეთი სასწაული მოხდება, შეცდებით და დაიღუპებით. ანტიქრისტე დაბადებულია და მისი ბეჭედი არამარტო უხილავად, არამედ ხილულადაც დაესმება ადამიანს ხელზე და შუბლზე. მისთვის ტახტს უკვე ამზადებენ... ყოველ ადამიანს აღწერენ და თავის სიებში შეიტანენ. აღარავის შეეძლება მათ გარეშე ცხოვრება — ამქვეყნიური ძალაუფლება მათ ხელში გადავა. ნებისმიერ პროდუქტს დაადებენ თავიანთ ნიშანს, ჯერ ხაზებით, მერე კი აშკარად. ეს ხაზები უკვე ანტიქრისტეს ნიშანია და ფარულად კოდირებული სამი ექვსიანია. ნუ შეგეშინდებათ, ლოცვა თქვით, ასეთ პროდუქტებს ჯვარი გადასახეთ და ისე მიიღეთ... ეშმაკსაც, შეგიძლიან, ზურგზე შეაჯდე და ტაძრამდე მიაყვანინო თავი, ოღონდ დემონის შემოთავაზებული სიტყვა და საქმე არ მიიღო, რა კეთილადაც არ მოგეჩვენოს, თორემ ეშმას ხაფანგში გაებმები და დაიღუპები. — მამა გაბრიელ თვითონ თუ იცის, რომ ანტიქრისტეა? — მან კი იცის, შენ თუ მიხვდები?! გახსოვდეს, ანტიქრისტე ჯერ კარზე აკაკუნებს. როდესაც აკაკუნებენ რა უნდა ქნა? — კარი უნდა გაუღო. — კარებს რომ გააღებ და სტუმარს დაინახავ, რა უნდა უთხრა? — მობრძანდით. — ჰოდა, ბრძანებას ელოდებიან, ბრძანებას. ბრძანება გაიცემა და მოვა. ახლა კარები ღიაა უკვე. აღარ აკაკუნებს. კარებში დგას და ბრძანებას ელოდება. გახსოვდეს — ანტიქრისტესაც ის გაჰყვება უკან, ვისაც მხოლოდ გონებაში აქვს რწმენა, ხოლო ვისაც გულში აქვს რწმენა, ის შეიცნობს მას. ბოლო ჟამს ანტიქრისტეს მომხრე ქუჩაშიც შიშველი ივლის, სირცხვილი აღარ ექნება... ქრისტეანი წესიერად ჩაცმული იქნება, ამით იცნობენ და დევნას დაუწყებენ. კაცები ქალად იქცევიან უკვე და ქალები — კაცებად!.. ახლა ისეთი ჟამი დგება, ძალიან დიდი დაფიქრება გვმართებს.

* დასასრული შემდეგ ნომერში

დაჯილდოება მწერალთა სახლში

მწერალთა სახლში, მაჩაბლის 13-ში, ბოლო ერთი წელია ყოველთვიურად იმართება მრავალფეროვანი ღონისძიებები: ახალ გამოცემათა პრეზენტაცია-წარდგინება, შეხვედრები მთარგმნელებთან, ლაურეატ მწერლებთან, მუსიკალურ კოლექტივებთან, ემიგრანტ შემოქმედებთან, გამომცემლებთან, ტარდება ყოველკვირეული ლიტერატურული სემინარები (პარასკევობით, მიხ. ღანიშაშვილის). მწერალთა სახლი ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების ცოცხალი პროცესებით ცხოვრობს ...

გაზაფხულის ორი ლამაზი დღესასწაულის ოქროს შუალედი (7 მარტს) — დედის დღისა და ქალთა დღის (3 და 8 მარტი) ერთობ უჩვეულო ღონისძიებით დაგვირგვინდა: ათ ქალ-მწერალსა და მარტში დაბადებულ ოც მწერალ (პოეტ) მამაკაცს გადაეცა პრემიები და სამახსოვრო ჯილდოები მწერალთა კავშირისა (თავმჯდომარე მ. გონაშვილი).

საგაზაფხულო-საიუბილეო საღამო გახსნა ისტორიული ჰერეთის (დღეს აზერბაიჯანის კახის რ-ნი) ფოლკლორულმა ანსამბლმა “ჰერულამ”. ხელმძღვანელს ვასილ პაპიაშვილს სამახსოვროდ მ. გონაშვილმა გადასცა უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის საგალობელთა დისკი. შესრულდა ინგილოურ ენაზე სიმღერა “არაწი”, სიმღერა “შენმა სურვილმა დამლია” და საშობაო (ქართულად).

საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირის მნიშვნელოვანი ჯილდო “ქართული კულტურის რაინდი” მიენიჭათ — პანტომიმის თეატრის დამაარსებელს ამირან შალიკაშვილს — ქართულ და მსოფლიო კულტურაში შეტანილი წვლილისათვის; მწერალს, მკვლევარსა და მთარგმნელს, თსუ მხატ. თარგმანის კათედრის პროფესორს, კლუბ “უკრაინის” პრეზიდენტს ოთარ ბაქანიძეს (85); პროფესორ ნოდარ ტაბიძეს.

თვის და წლის იუბილარ მწერლებსა და გამომცემლებს — მხატვარ ქეთი მატაბელს (შ. რუსთაველის “ვეფხისტყაოსნის” ილუსტრაციებისათვის და ფიროსმანის პოპულარიზაციისათვის), თ. ცერცვაძეს — ა. წერეთლის პრემია, გ. სულაძეს — ნ. ნიკოლაძის პრემია, ბ. მაცაბერიძესაც ... პოეტსა და შესანიშნავ მთარგმნელს ჯემალ ინჯიას — ივანე მაჩაბლის პრემია, თვის იუბილარ გ. კიკილაშვილს — ქართული პოეზიის ანთოლოგია და ფულადი ჯილდო, პოეტ თ. შაიშმელაშვილს — ქართველ პოეტთა ხუთტომეული “შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი” ...

2014 წელი ქართულ-ებრაულ ისტორიულ ურთიერთობათა საიუბილეო წელია (აღინიშნება 21-23 ოქტომბერს საქართველოსა და ისრაელში). ეს თარიღი აგრეთვე გამოცხადებულია ქართველი ებრაელი პოეტისა და მთარგმნელის ჯემალ აჯიაშვილის (ისრაელში ქართული კულტურის ატაშე იყო) წლად. უკვე რამდენიმე წელია, რაც ჯ. აჯიაშვილის სახელობის კონკურსი ტარდება და მისი პრემია გაიცემა (პოეზია, პროზა, დრამატურგია, თარგმანი). სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს ებრაელ ქალთა ასოციაციის წარმომადგენლები — ასოციაციის პრეზიდენტ ევა ბაბალაშვილის მეუღლე, ცნობილი სპორტული კომენტატორი ჯამლეთ ხუხაშვილი და ვიცე-პრეზიდენტი ნათელა პატარკაციშვილი.

მწერალ ნ. აფციაურს დაენიშნა ჯ. აჯიაშვილის სტიპენდია.

გაიცა 3 წამახალისებელი პრემია — დებიუტანტ ი. თურმანაულს, ნ. ბარათაშვილის “მერანის” პრემია — ქეთევან ნათელაძეს, გ. რჩეულიშვილის პრემია “ალავერდი” — ნ. როსტიაშვილს.

ნ. თუშიშვილს — ქართულ-სპარსულ ურთიერთობათა განმტკიცებისათვის, თარგმანში — ჯ. აჯიაშვილის წამახალისებელი პრემია; მთავარი პრემია ჯ. აჯიაშვილისა — ნიკ. ლომიძეს; ხოლო კონკურსში თანაბარ ქულათა მფლობელებს — ჯ. ხაინდრავას (ნ. ბარათაშვილის) და გ. შერვაშიძეს (გ. რჩეულიშვილის “ალავერდი”); ჯ. შიოშვილს დიპლომი და ალბომი (ჯაბა და ჯარჯი ჯანდიერების გრაფიკა, ფერწერა); ანა კონდრატენკოს — ახალგაზრდული სტიპენდია 1 წლით; 3 ახალგაზრდა ქართველი მწერალი ესპანეთში გაემგზავრება. დიპლომებითა და ალბომებით დაჯილდოვდნენ ჯ. შიოშვილი, გ. ბალახაშვილი, გ. ნემსაძე. მწერალ-მთარგმნელთა წყვილს — ნიკა ქვრივიშვილსა და გიული მიქელაძის ახლადშექმნილ ოჯახს გადაეცა ფასიანი საჩუქარი და დიპლომი (ნიკა პარიზშია, დედამისს გადასცეს მილოცვით).

თბილისში, ყოფილ ორპირის ქუჩას (შარდენიდან ადის ნარიყალაზე) მიენიჭა ჯ. აჯიაშვილის სახელი.

დაჯილდოებულებს საკუთარი ლექსით მიულოცა ამ სტრიქონების ავტორმა.

ნომინაციაში “დებიუტანტი” გაიმარჯვა ყველაზე ახალგაზრდა, აფხაზმა გოგონამ, მეთორმეტეკლასელმა ივდით ხაზალიამ (წერს ფსევდონიმით ივდო-ოტობარი) გვაჩუქა თავისი პირველი კრებული “იმ დღიდან დღემდე”.

დაჯილდოება კოლექტიური სადღესასწაულო-საიუბილეო სუფრით დაგვირგვინდა და შემდეგ მონაწილენი დაესწრნენ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში კომპოზიტორ ვ. აზარაშვილის კონცერტს.

თამარ გაბოძე.

რა განაპირობებს ქართველების საკრალურ დამოკიდებულებას საკუთარი მიწისა და წარსულისადმი?!

ტიბერი, შემდგომში "ჰიბერი" ...

საკუთარ ნიადაგთან მიჯაჭვულობა, ისევე, როგორც მრავალი ერის შვილებისათვის, ქართველთათვისაც მტკივნეულად ორგანული და მუდმივად თანამდევი თვისებაა. ებრაელთა და ბერძენთა მსგავსად, ქართველსაც "ბებერ ერს" უწოდებენ. ათასწლეულებგამოვლილმა გენეტიკურმა მეხსიერებამ, ნიადაგსა და ადამიანს შორის, აუხსნელი, თითქმის ტრაგიკული მგრძნობელობით აღბეჭდილი კავშირი ჩამოაყალიბა. იმ ფასეულობათა სისტემა, რომელსაც ერი ატარებდა, სწორედ ამ ადგილთან, ამ საცხოვრისთანაა შერწყმული; ამიტომ წარსული – წინაპრები – მიწა ერთიან, სათაყვანო სუბსტანციად შეიკრა.

ადგილი, სადაც დღეს ქართველები სახლობენ, ქრისტემდე მრავალი საუკუნით ადრე ყოფილა პროტოქართული ტომების სამშობლო. ამ ოდინდელი კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების განმავლობაში, ხან ერთი ქართული ტომი მძლავრობდა და დაწინაურდებოდა, ხან – მეორე. იმ ტომების სახელები (ისინი დღესაც შემორჩენილია სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ ქართველთა წარმომავლობისა და ტოპონიმების აღსანიშნავად), რომლებიც ასურეთის მახლობლად ცხოვრობდნენ, უძველეს ასურულ

სახარების მიხედვით სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ მარიამ ღვთისმშობელი სწორედ ქართულად ამეტყველდა. ქართველები თავიანთ მიწას წმიდა ქალწულის წილხვედრად თვლიან.

წყაროებშია შენახული. ხოლო ზოგიერთი ტომისა, უფრო კი მათი, ვინც შავი ზღვის ნაპირას სახლობდნენ, ბერძნულ წყაროებსა და მითოსში გვხვდება. მრავალი ცნობა აღმოჩნდა მოსეს ხუთწიგნეულშიც.

ისტორიული საქართველოს სამხრეთ - დასავლეთ ტერიტორიაზე კლასობრივ გაერთიანებებზე დაყრდნობილი ადრეული სახელმწიფო წარმონაქმნები – დიაუხი და კოლხა ჯერ კიდევ მითოსური საბერძნეთის დროს შესაშური კულტურული სიბრძნის მატარებელ ადამიანთა სამშობლო ყოფილა. სწორედ ოქროს საწმისის ჯადოსნური ძალისა და ინიციაციური ცოდნების დასაუფლებლად ჩამოვიდნენ აქ ინტელექტუალი ბერძნები. კოლხები ანუ კასკაია, ასურულ ლურსმულ წარწერებშიც იხსენიება და ბერძნულ წყაროებშიც.

უფრო აღმოსავლეთით მცხოვრები, ქართველთა ერთ-ერთი უძველესი ტომი – მესხები, იგივე "მუსკები", საკმაოდ მძლავრი, საბრძოლო ხელოვნებაში ერთობ გაწაფული და გულადი ხალხი ყოფილა. ალბათ, ძალზე

უძველესი ტოპონიმი–კარდუ, იგივე ქართუ, საფუძვლად დაედო ერთიანი ეთნოსის აღმნიშვნელ სიტყვას –ქართუ-ელს, ანუ ქართველს და შემდგომში ქვეყნის სახელს – ქართლსა და სა-ქართუ-ელ-ოს.

ძლიერნიც, რადგან წარმატებულ დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ. სწორედ ისინი არიან ყველაზე უწინ მოხსენიებულნი ძვ. წელთაღრიცხვის 1100 წლით დათარიღებულ ასურულ წარწერაში, სადაც ტიგლატ - პილესარ I გვიამბობს, რომ მისი ხელმწიფობის ჟამს "ძლიერებით მოქადული 20000 მუსკი და მათი ხუთი მეფე, რომელნიც ბრძოლის ველზე ჯერ ვერცერთ მეფეს ვერ დაემარცხებინა, კუმუხში ჩამოვიდნენ და ქვეყანა დაიპყრესო." ეს მესხები, იგივე მასხები, მოსეს I წიგნში მეშეხად არიან წოდებულნი. მათ უშუალო შთამომავლებს დღესაც მესხები ჰქვიათ და, შემორჩენილია კუთხის აღმნიშვნელი ტოპონიმიც – მესხეთი. ეს ტომები მრავალ მეცნიერს ქართველთა და აფხაზთა საერთო წინაპრებად მიაჩნია. აფხაზთა ძველი სახელწოდება ა-ბასხი სწორედ მასხის ასიმილირებული ვარიანტია, რადგან აფხაზურში "ა" მხოლოდღა წინსართია.

სხვა ქართული ტომის ტაბალის (იგივე ტუბალი ან თობალი) შესახებ, ასურეთის უძლიერესი მეფის სალმანასარ II (860-825) წარწერაშია ნათქვამი: "ქორონიკონსა მეფობისა ჩვენისასა ოცდამეორესა, მეოცდაერთჯერ ევფრატი გადავიარე და ჩავედი ტაბალად. ტაბალის ოცდაოთხი მეფისაგან საჩუქრები მივიღე." ასურულ წყაროებში ტაბალები და მუსკები ხშირად ერთად არიან მოხსენიებულნი. ასევე ერთად, როგორც ივანე ჯავახიშვილი ამბობს, "ტყუპად" სახელდებიან შესაქმეს წიგნებში. ჰეროდოტეს "ისტორიაშიც" ჩანს, რომ მესხები და ტიბარელნი მეზობლები ყოფილან.

ქსენოფონტეს მიხედვით ქართულ ტომებს იძულებით ჩრდილოეთისკენ გადაუწევიათ და შავი ზღვის სამხრეთი და ძველი ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი მოუცავთ.

იოსებ ფლავიუსის ცნობით, სწორედ ტაბალიდან წამოვიდა სიტყვა ტიბერი, შემდგომში "ჰიბერი" და იბერიაც – საქართველოს მეორე ძველი სახელი.

ასევე ბერძნულ წყაროებში იხსენიებიან მაკრონები, ანუ მეგრელ-ჭანები. ევსტათი თესლონიკელი ამბობს, რომ ჩვენ მათ ახლა საინებს, ანუ, მდაბიურად, ტძანებს ვეძახითო. სწორედ "ტძანიდან" მოდის სამეგრელოს შესატყვისი უძველესი ტოპონიმი "ჭანეთი".

ბიბლიის მრავალი მკვლევარის აზრით, შესაქმეში შენახულია ცნობები და პატარ-პატარა თქმულებები სხვადასხვა ტომების, მათ შორის, რამდენიმე ქართული ტომის შესახებ. ისინი თვლიან, რომ ტაბალები, იგივე იბერები ანუ ქართველები, ბიბლიური ტუბალ-კაენის (შესაქმეში მოცემული ერთი შტოს მიხედვით), ან ნოეს შვილიშვილის, იაფეტის ვაჟის – ტუბალის (მეორე შტოს მიხედვით) შთამომავლებად უნდა მივიჩნიოთ. ტაბალის ქვეყანა ახლანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ბევრად დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან ზემოხსენებული სალმანასარის ტექსტის მიხედვით, მას 25 ტაბალელი მეფე აძლევდა ხარკს.

ბიბლიის – დაბადების I წიგნისა და ასურულ წყაროთა მოწმობით, ტაბალს და მუსკს (თუბალსა და მეშეხს) ორი ძლიერი, ფართოდ დასახლებული ერის სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი. ეზეკიელ წინასწარმეტყველის დროს, ისინი დიდი კერპების გოგისა და მაგოგის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ.

უდიდესი მიწა-წყალი, რომელიც ძვ. წ. XI-VII საუკუნეებში ქართველ ტომებს ეჭირათ, თანდათანობით შემცირდა მცირე აზიაში კიმერიელთა და სხვა ინდოგერმანული ტომების შემოსევის შემდეგ. ქსენოფონტეს მიხედვით ქართულ ტომებს იძულებით ჩრდილოეთისკენ გადაუწევიათ და შავი ზღვის სამხრეთი და ძველი ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი მოუცავთ.

... ტაბალები, იგივე იბერები ანუ ქართველები, ბიბლიური ტუბალ-კაენის (შესაქმეში მოცემული ერთი შტოს მიხედვით), ან ნოეს შვილიშვილის, იაფეტის ვაჟის – ტუბალის (მეორე შტოს მიხედვით) შთამომავლებად უნდა მივიჩნიოთ.

უძველესი ტოპონიმი–კარდუ, იგივე ქართუ, საფუძვლად დაედო ერთიანი ეთნოსის აღმნიშვნელ სიტყვას –ქართუ-ელს, ანუ ქართველს და შემდგომში ქვეყნის სახელს – ქართლსა და სა-ქართუ-ელ-ოს. შუა ბრინჯაოს ხანიდან (III ათასწ. დასასრ. და II ათასწლეულის I ნახევარი) უძველესი ქართული ფუძეენა უკვე დაშლილი უნდა ყოფილიყო (სვანურ, მეგრულ-ჭანურ, ქართულ და აფხაზურ ენებად). ქართული ტომების გაერთიანება და ქართულის ისევ სახელმწიფო ენად გავრცელება "ქართლის ცხოვრების" ცნობით ძვ. წ. IV საუკუნეში მხოლოდ დიდ მეფე ფარნავაზმა შეძლო ("ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა.") ამ დროიდან ვიდრე ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე (ჩვ. წ. IVს.) ქართული ენა მკვიდრდებოდა და მძლავრდებოდა. ეს ენა და დამწერლობა, რომელიც ერთ-ერთია მსოფლიოში არსებულ 14 ორიგინალურ დამწერლობას შორის, იქცა ქრისტიანული საქართველოს ენად. სახარების მიხედვით ხომ სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ მარიამ ღვთისმშობელი სწორედ ქართულად ამეტყველდა. ქართველები

* დასასრული მე-8 გვ.

კიდევ ერთი გამარჯვება

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ჩატარდა ღია ტურნირი კარატეში, სადაც საქართველოს 30 გუნდი მონაწილეობდა. აღნიშნულ ტურნირზე კასპელი კარატისტებიც გამოვიდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ კასპის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობითა და ორგანიზებით თბილისში კარატისტთა კლუბ "ხვადის" სპორტსმენებიც გაემგზავრნენ და ამჯერადაც ასახელეს მშობლიური კუთხე.

საპრიზო ადგილები კი შემდეგნაირად განაწილდა:

ბობა დალაქიშვილი – 1 ადგილი, 16-17 წ. +60კგ. (მსოფლიო ჩემპიონი)

თორნიკე მურღული – 1 ადგილი, 14-15 წ. -55კგ. (მსოფლიო პრიზიორი), III ადგილი 14-15 წ. +55კგ.

გივი ფსუტური – III ადგილი, 8-9წ. (საქართველოს პრიზიორი)

რევაზ გორგაძე –III ადგილი, 12-13 წ. +50კგ.

საგულისხმო გახლავთ ის ფაქტიც, რომ ასპარეზობაში მონაწილეობდა კასპელი კარატისტი გოგონა მარიამ მელაძე (16-17 წ), რომელმაც წარმატებულად იასპარეზა და მესამე საპრიზო (აბსოლუტური) ადგილს დაეუფლა.

ეს იყო კასპელ კარატისტთა კიდევ ერთი გამარჯვება, სპორტსმენები ძალ-ღონეს არ იშურებენ წარმატების მისაღწევად, სასიხარულოა, რომ ჩვენს ქალაქში ჯანსაღი, მებრძოლი სულის ახალგაზრდები არიან.

დავით დალაქიშვილი, საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის კლუბ-"ხვადის" პრეზიდენტი, კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების 44-ე სასპორტო სკოლის მწვრთნელი.



"გახსენებს შეხვედრამდე ჭეკვენ"...

მწერალსა და დრამატურგს, სცენარისტს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს და კიდევ ბევრი ღირსშესანიშნავი ლეგალიების მფლობელს ნუგზარ შატაიძეს შესანიშნავად იცნობს ქართველი საზოგადოება, მკითხველთა ფართო წრე...

მოთხრობების წერა ნუგზარ შატაიძემ ბავშვობადან დაიწყო, ხოლო 70-იანი წლების ბოლოს გამოიცა მწერლის მოთხრობების პირველი კრებული, რომელშიც შეტანილია მისი გახმაურებული მოთხრობები "სოფლის ძველი სახლი", "მოლხინო", "პურის მოთხრობა", "ევროპაში რა მინდოდა" და სხვა. ნუგზარ შატაიძის მოთხრობების პროტოტიპები მისივე თანასოფლელები იყვნენ, მოგეხსენებათ, რომ მწერალი წარმოშობით ახალციხელი გახლდათ და მას ყრმობა და სიჭაბუკე სწორედ ქართლში აქვს გატარებული, იგი ხშირად სტუმრობდა კავთისხევსა და თვალადს, ახალქალაქსა და ერთაწმინდას, რაიონის თითქმის ყველა სოფელს და ამიტომ თავისი მოთხრობების პერსონაჟთა სახელებიც კი ჩვენი კუთხიდან აქვს აღებული.

ნუგზარ შატაიძე იყო კინოსტუდია "ქართულ ფილმთან" არსებული მწერალთა გაერთიანების წევრი, მისი სცენარების მიხედვით შეიქმნა უამრავი საინტერესო კინო-მასალა, იგი თანაავტორია საკმაოდ გახმაურებული ტელესერიალებისა "ცხელი ძაღლი", "გაღმა ნაპირი" და სხვათა შორის, ამ ფილმმა არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი დაიმსახურა. მწერალმა სიცოცხლეშივე იგემა მკითხველისა და მაყურებლის სიყვარული, აღიარება და სიმპათია. იგი გარდაიცვალა 2009 წლის 10 თებერვალს, მწერალი დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მწერლის პატივსაცემად ამ დღეებში კასპის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა საინტერესო ლიტერატურული წარმოდგენა "ნუგზარ შატაიძე ქართული მიწის მეხოტბე". ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება (დირექტორი ნუნუ ყიფიანი) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (დირექტორი ლელა პეტრიაშვილი). მოსწავლეებმა: მარი აბულაძემ, ანი კაპანაძემ, ნია კოშაძემ, მარი სუხაშვილმა, ლიკა გამხიტაშვილმა, გვანცა გერმისაშვილმა, მარი ბეჟიტაშვილმა, ხატია სამნიაშვილმა, ნინო კვახაძემ, მარიამ ქურთაულმა, ნანა ბურდულმა წაიკითხეს ნაწყვეტები მწერლის მოთხრობებიდან, დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ნუგზარ შატაიძის ბიოგრაფია, გაიხსენეს მის მიერ შესრულებული კინო-როლები და მისი სცენარების მიხედვით შექმნილი ფილმები.



— ნუგზარ შატაიძის უმშვენიერესი მოთხრობები და მთავარი მოქმედი პირები ახალციხელები და ნოსტელები, ერთაწმინდელები, კავთისხეველები, თვალადელები არიან, — საუბრობს ღონისძიების ორგანიზატორი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის პედაგოგი ნანა მერებაშვილი, — მათი მეტყველება, ქართლური დიალოგები და საერთოდ გამორჩეული დიალექტიკური ლექსიკა ხომ უნიკალურია, ჩვენთვის კი, მშობლიური, ძალიან ნაცნობი. სწორედ ამიტომაც აქაურმა ახალგაზრდებმა და მოსწავლეებმა და არა მხოლოდ მათ ყველაფერი უნდა იცოდნენ უდროოდ წასული მწერლის შესახებ. ჩვენი დღევანდელი ღონისძიება სწორედ ამ მიზანს ისახავდა.

შინაარსით, ემოციებით დატვირთული ლიტერატურული წარმოდგენა იმითაც იყო ორიგინალური, რომ დარბაზში გაჟღერდა მწერლის მიერ შესრულებული სიმღერა და მის მიერ მხატვრულად წაკითხული მოთხრობები. აღნიშნული უნიკალური ჩანაწერის (დისკი) ასლი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს საჩუქრად გადასცა კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელო

* დასასრული მე-8 გვ.

ბუნებრივია – წელიწადის ძველთან ერთად ერთვენ ეკონომიკურ ბაზრებს. ბუნებრივ ერთვენ ეკონომიკურ ბაზრებს. ეკონომიკურ ბაზრებს ეკონომიკურ ბაზრებ (ბაზ–ბოლოდინით ერთვენ ეკონომიკურ ბაზრებ) და ეკონომიკურ ბაზრებ.

გამოიწერეთ „ახალი განთიადი“

ჯარგი შეფუთვა არ ნიშნავს მაღალ ხარისხს!

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მრავალ სასურველ თუ არასასურველ სინამდვილესთან შეგუება გვიწევს. კარგი შეფუთვა არ ნიშნავს მაღალი ხარისხის პროდუქტს. არადა, ჩვენი ჯანმრთელობის 70% დამოკიდებულია იმ საკვებზე, რომელიც ჩვენს ორგანიზმში ხვდება. საკვები მარტო ფიზიკურ სხეულზე კი არა, გონებაზეც მოქმედებს. თუ არასდროს არ დაგიხედავთ პროდუქტის შემადგენლობისათვის გაკვირვებული დარჩებით, როდესაც გაიგებთ რამდენი არაჯანსაღი კონსისტენციისგან შედგება, ის რაც ძალიან გიყვართ და ძალიან შეიძლება იმიტომაც გიყვართ რომ იქ გხვდებათ ისეთი სუბსტანციები, რომელიც იწვევს დამოკიდებულებას, ანუ აჩენს მოთხოვნილებას ორგანიზმში, რაც ბუნებრივად შეიძლება არ გქონდეთ.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ არსებობს უსაფრთხო და სახიფათო ემულგატორები. ემულგატორი არის ქიმიური დანამატი, რომელსაც იყენებენ საკვებში — გემოს მისაცემად ან იმისთვის, რომ პროდუქტი დიდხანს შეინახოს, ან გარკვეული თვისება მიანიჭოს პროდუქტს.

ცნობილმა ავსტრიულმა კლინიკამ გამოაქვეყნა უსაფრთხო და სახიფათო ემულგატორების სია.

უსაფრთხო ემულგატორები:

E: 121, 122, 126, 130, 132, 140. 151, 152, 160, 161, 162, 163, 170, 174, 175, 181, 201, 202, 203, 236, 237, 238, 260. 261, 262, 263, 270, 280, 281, 282, 290, 300, 301, 303, 304, 305, 306, 307, 308, 309, 322, 325, 326, 327, 331, 332,333, 334, 335, 336,337, 382, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 408, 410, 411, 413, 414, 420, 421, 422, 450, 471,472, 473,474, 475.

სახიფათო ემულგატორები:

E: 125, 141, 150, 153,171, 172, 240, 241, 477.

განსაკუთრებით სახიფათო ემულგატორები (ტოქსიკური):

E:102, 110, 120, 124.

ემულგატორები, რომლებიც ზიანს აყენებენ თქვენს შინაგან ორგანოებს:

1. E:220, 221, 222, 223, 224 — იწვევს ნაწლავების დაავადებას,
2. E:338, 339, 340, 341, 361, 463, 465, 446, 450, 407 გვხვდება ნაყინებში, იწვევს მონელების სისტემის დაავადებებს,
3. E:230, 231, 232, 233 — იწვევს კანის დაზიანებას,
4.E200 — ანადგურებს ბ ვიტამინს ორგანიზმში,
5. E:250, 251, 252 — იწვევს სისხლძარღვთა დაავადებებს,
6. E:320, 321 — საგრძნობლად ამატებს ცუდ ქოლესტერინს სისხლში,
7.E: 311, 312 — იწვევს ნერვულ დაავადებებს.

განსაკუთრებით სახიფათო ემულგატორები, რომელიც იწვევს კიბოს (!):

E:113, 142, 210, 211, 213, 214, 215, 216, 217, 239.

E:123, 110 — ესენი აკრძალულია რუსეთსა და ამერიკაში, გვხვდება "ჟელიბონებში", შოკოლადის კანფეტებში, ყველში, ვიჩინის პროდუქტებში, გაყინულ ბოსტნეულში და სხვა ბევრ პროდუქტში.

მადლობა

კაკო და მაია ჯალალების ოჯახი მადლობას უხდის კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, რეспუბლიკური პარტიის კასპის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ქალბატონ ხათუნა თათანაშვილს პატარა გივიკოს ჯანმრთელობისათვის გაწეული დახმარებისა და გულისხმიერებისათვის.

ქართული მიწის მეხოტბე

"გახსენება შეხვედრისა ჭგავს"...

*** დასასრული.**

ბის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა.

შეხვედრაზე მოწვეულ სტუმრებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას გულითადად მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი. მან დადებითად შეაფასა მოსწავლეების შემოქმედება და მადლობა გადაუხადა პედაგოგებს, ღონისძიების ორგანიზატორებს საინტერესო და შინაარსიანი წარმოდგენისათვის. ღონისძიებას სტუმრობდნენ: კასპის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ალექსანდრე გზირიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ნუნუ ყიფიანი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები.

შეხვედრის ბოლოს ლიტერატურულ წარმოდგენაში მონაწილე მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

,,ახალი ჯვრთიანი,, იძიებს ცვინდერიცო ცურვთებს რვიონის ცვგვზეთი ფოტო-მეცნიერის შეცვქმნელოვლ.

თხოვნით მივმართავთ თანხრვიონელებს - ლეფოვეთ თქვენი ყველი ჩვენს მეცნიერში! გვმოგვიგზავნეთ ცვინდერიცო ლა ცახალიცო ფოტოები!

დასასრული.
დასაწყისი მე-6გვ.

თავიანთ მიწას წმიდა ქალწულის წილხვედრად თვლიან.

მიწის სიწმინდესთან მიმართებაში შეიძლება კიდევ ერთი ისტორიული პარადიგმა მოვიხმოთ: მეცნიერთა საგულისხმო მოსაზრებები არსებობს ბიბლიური ურ-კაშდიმის თაობაზე, სადაც მამამთავარი ანუ პატრიარქი აბრაამი ცხოვრობდა. ბევრ მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ეს იყო ადგილი, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა; ე. ი. "ურ" ურარტუს ნიშნავს, კაშდიმ კი, ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ასიმილაციის შედეგად მიღებულ ქართივ-ს ("ივ" მრავლობითის ნიშანია) – ქართველი ტომების სამოსახლოს. თუ ეს მოსაზრებები სწორია, მაშინ, გამოდის რომ წმინდა აბრაამის საცხოვრისი სწორედ ურარტუს ქართების ტერიტორია ყოფილა.

იქნებ, ზემომოყვანილი და კიდევ მრავალი მიზეზი განაპირობებს ქართველების საკრალურ დამოკიდებულებას საკუთარი მიწისა და წარსულისადმი. თვით ქართული მიწა ხომ წმინდა ნივთიერებასთან არის გაიგივებული. უცხოეთში ნებით თუ იძულებით გადახვეწილ ქართველებს მუდამ თან დაჰქონდათ საქართველოდან წაღებული, პატარა ტომსიკაში გამოკრული მიწა და თუ უკან ვერ დაბრუნდებოდნენ, შთამომავლებს უბარებდნენ, რომ გარდაცვალების შემდეგ გულზე "სამშობლო" მოებნიათ.

არსებობს ერთი, ამ კუთხით ნიშანდობლივი ქართული ზღაპარი "მიწა თავისას მოითხოვს", რომლის მთავარი გმირი, ჯერაც უწვრთნელი ჭაბუკი ისეთი ქვეყნის საძებნელად მიეშურება, სადაც სიკვდილი არ არის. სხვა განზომილებაში, დროისა და სივრცის გარეთ გაჭრილი პერსონაჟი ბედნიერებას პოულობს, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ შეიშნოვებს მუდმივი განცხრომისა და სინორჩის მდგომარეობას, ბრუნდება საკუთარ მიწაზე, რათა იქ ერთბაშად დაბერდეს და მიიცვალოს. ასეთ მისტიკურ დამოკიდებულებას, ალბათ, მიწასთან ნივთიერი კავშირიც განაპირობებს. საგულისხმოა, რომ ათასწლეულების განმავლობაში ქართველ ტომთა უმეტესობა მიწის დამამუშავებელნი იყვნენ. ამან განაპირობა ქვეყნის ძველი სახელწოდებაც – გეორგია. ეს ბერძნულენოვანი ტოპონიმი სწორედ მიწის აღმნიშვნელი სიტყვის გამომხატველია.

რა განაჭირობებს ქართველების საკრალურ დამოკიდებულებას საკუთარ მიწისა და წარსულისადმი?!

ციბერი, შემდგომში "ჭიბერი" ...

წარსულისა და მიწის გარდა, ქართული ეთნოფსიქიკისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ფეტიში წინაპრები და მათი ხსოვნაა. XXI საუკუნეშიც კი ეს დამოკიდებულება ლამის პატრიარქალურია. სჩანს ეს უძველესი, გენეტიკურად განმტკიცებული თვისებაა, რადგან ჯერ კიდევ წარმართობის ჟამს ქართველები წინაპრებს აკერპებდნენ.

მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ქართლის გამაერთიანებელი მეფე ფარნავაზი სწორედ წარმართული პანთეონის მრისხანე ღვთაების – არმაზის წინასახეა; ღვთაებისა, რომელსაც ყველაზე მეტად ეთაყვანებოდნენ ქართველები. ამგვარი მითოსური დამოკიდებულების ჩანაცვლება ქრისტიანულ მენტალიტეტში წმინდანთა თაყვანისცემით მოხდა. ქრისტიანული და ეროვნული ღვაწლისაკენ მიმართული ხასიათი მრავალ წმიდანს აღიარებს. მაგალითად, "ოქროს ხანის" საქართველოს მეფეთ-მეფე თამარი ისეთი ბრწყინვალე შარავანდედითაა მოცული ჩვენს ცნობიერებაში, რომ ლამის რეალური პიროვნება აღარ გვგონია. იგივე შეიძლება ითქვას, დავით აღმაშენებელსა და შოთა რუსთაველზე ...

თუმცა, არაწმინდანი წინაპრების, ხალხური გმირების გაფეტიშების მაგალითებიც არსებობს. ეს უფრო მთიან მხარეებშია შემორჩენილი. მაგალითად, ფშავში არსებობს სალოცავი, რომელსაც ლაშარის წმინდა გიორგის, იგივე ლაშარის ჯვარს ეძახიან. ფშავლებს გამორჩეულად ჰყვარებიათ ახალგაზრდა, თავისუფლად მოაზროვნე, ტრაგიკული ბედის, ლამის ჭაბუკობაში გარდაცვლილი მეფე ლაშა-გიორგი, ძე მეფედ მეფისა თამარისი, რომელმაც XII საუკუნის დიდი და ძლიერი საქართველო ჩაიბარა. ამიტომ ამ ქრისტიანულ სალოცავში უცნაურადაა შერწყმული წმინდა გიორგისა და არაწმიდანი მეფის სათაყვანო და საყვარელი სახეები და ამ შემთხვევაშიც კიდევ ერთხელ იკვრება ქართულ ეთნოფსიქიკაში ღრმად გამჯდარი ტრიადა: წარსული – მიწა – წინაპრები.

მარინა ყიფშიძე.

80 წელი თქვენც გვერდით!

გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?

გ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ერისკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მოგრძანდით რედაქციაში! ან დაგვირეკეთ 22 25 76

გამოიწერეთ "ახალი ჯვრთიანი" და გახდით ჩვენი მეგობარი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,ქოლრში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76